

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ სულიკო თებიძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი:

1. ნინო ჩხაიძე, ქ. ბათუმი, გორგასალის # 57,
ტელ.: 555 12 10 91
2. ნათია აფხაზავა, ქ. ბათუმი, თაყაიშვილის # 75
ტელ: 599 77 71 85
3. ასლან ჭანიძე, ქ. ბათუმი, რუსთაველის #10
ტელ: 593 30 71 55

პ ე ტ ი ც ი ა

ქ. ბათუმში, მუნიციპალური ინკლუზიური თეატრის დაარსების საკითხის საკრებულოს სხდომაზე შესწავლა,
განხილვა და გადაწყვეტა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანამედროვე სახელოვნებო სფერო ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც განპირობებულია საკანონმდებლო რეგულაციების პრაქტიკის არასათანადო აღსრულებით. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში 2014 წელს შევიდა ცვლილება, რომლის გათვალისწინებითაც მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილება გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ზრუნვა, სამწუხაროდ, საქართველოს მასშტაბით ამ დრომდე რეალური ცვლილებების გამომწვევი ნაბიჯები არ გადადგმულა.

თეატრი ყოველთვის იყო ეფექტური კომუნიკაციის საშუალება საზოგადოებასა და შემოქმედებს შორის. სცენა ერთგვარი პლატფორმაა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებაში ჯანსაღი აზრისა და მიდგომების ჩამოყალიბებაში. ამ კუთხით კი, შშმ პირთა ინკლუზიის პროცესის სწორად წარმართვა სოციალურ მიდგომებზე დამყარებული ხედვებითა და ქმედებებით უნდა განხორციელდეს. შშმ პირთა გააქტიურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ფუნქციონალური ჩართულობის მისაღწევად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინკლუზიური თეატრის არსებობა, რასაც არაერთი დასავლური ქვეყნის წარმატებული გამოცდილება ადასტურებს. აღნიშნული ინიციატივის განხორციელებით ბათუმი იქნება პირველი მუნიციპალიტეტი მთელ საქართველოში, რომელიც პრაქტიკულ დონეზე დაიწყებს „გაეროს 2006 წლის კონვენციის შშმ პირთა უფლებების შესახებ“ განხორციელებას. ასევე ბათუმში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელს შეუწყობს თავიანთი შემოქმედებითი უნარების განვითარებაში და თანამედროვე თეატრალურ სივრცეს აჩვენებს მრავალფეროვანი მაყურებლის აუცილებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში ერთჯერადი პროექტების საფუძველზე ხდება სპექტაკლების დადგმა და შშმ პირთა სცენაზე გამოჩენა, რაც გახდა შშმ პირთა გააქტიურებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინკლუზიის წამახალისებელი. ასევე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საზოგადოების დაინტერესება სპექტაკლების მიმართ მაღალია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახელოვნებო სფეროში ინკლუზიის პროცესის ხელშეწყობისა და გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სტაბილური მხარდაჭერა და ინსტიტუციური მდგრადობა. შესაბამისად, ჩვენი აზრით, აღნიშნული მიმართულებით სისტემური და ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტმა თავის თავზე უნდა აიღოს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ბათუმის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის შესაბამისად გთხოვთ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელოთ, განიხილოთ და გადაწყვიტოთ ქ. ბათუმში, მუნიციპალური ინკლუზიური თეატრის დაარსების საკითხი.

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები.
2. პეტიციის მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკები. 74 კაპო


პეტიციის წარმდგენი სუბიექტების/მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. ნინო ჩხაიძე

2. ნათია აფხაზავა

ნ. აფხაზავა

3. ასლან ჭანიძე



პეტიციის წარდგენის თარიღი: 07.12.2017 წელი

